

ლიტერატურათმცოდნეობა Литературоведение Literature

ნესტან სულავა

თბილისი, საქართველო

გიორგი მცირის ცნობები ქართული საეკლესიო გალობის
მრავალხმიანობის შესახებ
"წმ. გიორგი მთაწმინდელის ცხოვრების" მიხედვით

წმ. გიორგი მთაწმინდელის პიმნოგრაფიული მოღვაწეობის, ქართული გალობის მრავალხმიანობისადმი მისი დამოკიდებულების შესასწავლად საგანგებო მნიშვნელობა ენიჭება მისივე ბიოგრაფიის, გიორგი მცირის პაგიოგრაფიული თხზულების მონაცემებსა და წმ. გიორგი მთაწმინდისეული პიმნოგრაფიული კრებულებისათვის მის მიერვე დართულ ანდერძებს, რომელთა გათვალისწინებით შესაძლებელი ხდება ზოგიერთი ვარაუდის გამოთქმა ქართული გალობის მრავალხმიანობის, მეხელთა და მათი შემდგომი თაობის მგალობლების საქმიანობის შესახებ. ამ მხრივ გიორგი მცირის თხზულებაში ყურადღებას საში ეპიზოდი იქცევა.

1. წმ. გიორგი მთაწმინდელი ქართულ გალობას უკვე მრავალხმიანად რომ აღიქვამს, უწინარეს ყოვლისა, ამას გიორგი მცირის პაგიოგრაფიული თხზულების რამდენიმე ეპიზოდი მოწმობს. წმ. გიორგი მთაწმინდელის სამგალობლო მონაცემების თაობაზე გიორგი მცირე თავის პაგიოგრაფიულ თხზულებაში მოგვითხრობს, რომ გიორგი ემაწვილობაშივე "უმეტეს ყოველთა მასაკის - სწორთა მისთასა წარმეტა. და საგალობელნი იგი საწელიწდონი და შეწყობილებანი იგი გალობათანი მექსა შინა ზეპირით დაისწავლნა" [ძეგლები 1967: 116], რაც იმას ნიშნავს, რომ ხმათა შეწყობას ადვილად იმახსოვრებდა და ზეპირად იცოდა მთელი წლის საგალობლები ხმათა შეწყობით, რითაც თავის თანამგალობელთ აღემატებოდა და რითაც საოცრად ჰგავდა თავის დიდ წინამორბედებს წმ. გრიგოლ ხანძთელს და მიქაელ მოდრეკიელს. ხმათა შეწყობაში კი გალობის მრავალხმიანობა იგულისხმება. გალობა მრავალხმიანი რომ არ ყოფილიყო, ხმათა შეწყობაზე საუბარი არც იქნებოდა.

2. ივანე ჯავახიშვილმა განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭა ამ თხზულებაში დაცულ ცნობას წმ. გიორგი მთაწმინდელის მიერ გაწვრთნილი ოთხმოცი ობოლი ბაეშეის გალობის შესახებ ბიზანტიის კეისრის წინაშე, რომელმაც ბაეშეების მიერ შესრულებული გალობის მოსმენის ბოლოს ქართველ წმინდა მამას შემდეგი სიტყვებით მიმართა: "განგისწავლიან ბერძულსა გუარსა ზედა, კეთილ ბერო, შენნი ობოლნი" [ძეგლები 1967: 184]; ე. ი. ბიზანტიის იმპერატორმა იცოდა, რომ ქართული და ბერძნული გალობების გვარები სხვადასხვა იყო; ეს სიტყვები უცილობლად აძტკიცებენ ქართული და ბერძნული გალობის სხვადასხვაობას. იე. ჯავახიშვილის განმარტებით: "ათონის

ქართველი ბერები თავიანთ მონასტერში ქართულსა "გუარსა ზედა" გალობენ და ის ბერძნული გვარი გალობა, რომელიც წმ. გიორგი მთაწმინდელმა მოასმენინა, პირადად მის საამებლად იყო მოწყობილი" [ჯავახიშვილი, 1998: 600]. ფაქტობრივად, ამ ეპიზოდში მითითებულია, რომ ქართული გალობა მრავალხმიანია, ხოლო ბერძნული გალობა - ერთხმიანი, ისინი განსხვავებული ბუნებისაა.

საქართველოში ქრისტიანული რელიგიის სახელმწიფოებრივ რელიგიად გამოცხადების შემდეგ საეკლესიო გალობაც, როგორც საზოგადოდ ლიტურგია, პალესტინიდან შემოვიდა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ იგი არ განვითარდებოდა და ეროვნულ, ქართულ ხასიათს არ შეიძენდა. ქართული ენის ბუნება და ქართული მუსიკალური მრავალხმიანობის სისტემა პალესტინური და ბერძნული წიადიდან წამოსული ქრისტიანული საეკლესიო გალობის გაქართულებას მოითხოვდა. ცნობილია, ყოველი ერის წარმომადგენელი გარესამყაროს აღქმას და მის გამოხატვას ყველაზე უკეთ მშობლიურ ენაზე აღწევს, რაც იმას მიუთითებს, რომ რელიგიური განცდა და განწყობაც, მელოსით გამოხატული, ყველაზე ნათლად მშობლიური მუსიკალური სისტემით აღიქმება და გადმოიცემა.

3. ქართული გალობის მრავალხმიანობის კანონიკურობას მოწმობს წმ. გიორგი მთაწმინდელის პოლემიკა ანტიოქიის პატრიარქთან, როდესაც ათონის ივირონის მონასტრის ერთ-ერთმა უდიდესმა მოღვაწემ ქართული ეკლესიის სამოციქულო წილხედრილობა და მისი მრავალსაუკუნოვანი დამოუკიდებლობა დაასაბუთა. გიორგი მცირის პაგიოგრაფიული თხზულება მოგვითხრობს წმ. გიორგი მთაწმინდელისა და ანტიოქიის პატრიარქის თეოდოსის შეხვედრის მიზანზე. მსჯელობა შეეხებოდა ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობის, ქართველთა მართლმადიდებლობისა და ქართულ ეკლესიაში ლიტურგიის აღსრულების საკითხს. პატრიარქმა წმ. გიორგი მთაწმინდელისაგან გამოიკითხა ყოველი, რაც მას აინტერესებდა, "გულისკმა-ყო პატრიარქმან, ეთარმედ მაღლი ღმრთისაჲ დამკუდრებულ არს მის თანა" და ბერს შემდეგი სიტყვებით მიმართა: "პატიოსანო მამაო, კურთხეულ არს ღმერთი, რომელ ეიხილუ სიწმიდე შენი. და აჰა ესერა, გხედავ მოწყალეებითა ღმრთისაჲთა, დაღაცათუ ნათესავით ქართველი ხარ, სხუთა კულა ყოელითა სწავლულეებითა სრულიად ბერძენი ხარ. ხოლო მითხარ ნათესავისა შენისათჳს, არს რაჲ ნაკლულეკანებაჲ მართლისა სარწმუნოებისაჲ მთ თანა გინა ურთიერთარს განყოფილება მთ შორის და ჩუენ შორის?" [ძეგლები, 1967: 151]. წმ. გიორგი მთაწმინდელმა მოატანინა წმ. ანდრია პირველწოდებულის "მიმოსლვანი" და ანტიოქიის პატრიარქს წარუდგინა, რომელშიც ქართული ეკლესიის სამოციქულოდ მიხნევის საფუძველი იყო დასაბუთებული, მან ქართული ეკლესიის ავტოკეფალურობა დაიცვა: "...წმიდათა მოციქულთა განათლებულნი ვართ და ეინათგან ერთი ღმერთი გვცნობიეს, არღარა უარ-გუყოფიეს და არცა ოდეს წეაღებისა მიმართ მიდრეკილ არს ნათესავი ჩუენი. და ყოელთა უარის-მყოფელთა და მწვალებელთა შეკაჩუნებთ და ესწყეთ. ამას საფუძველსა ზედა მართლმადიდებლობისასა და მცნებათა და ქადაგებათა ზედა წმიდათა მთ მოციქულთასა მტკიცე ვართ" [ძეგლები, 1967: 154].

გუვიტრობ, რომ გიორგი მთაწმინდელის პოლემიკა ანტიოქიის პატრიარქთან მოწმობს ქართული გალობის მრავალხმიანობის კანონიკურობას, როდესაც ათონის ქართველთა მონასტრის ერთ-ერთმა უდიდესმა მოღვაწემ მოწინააღმდეგეებს დაუმტკიცა ქართული ეკლესიის საუკუნეობრივი დამოუკიდებლობა, სამოციქულო წილხედრილობა და მართლმადიდებლობის განუხრელი დაცვა ისე, რომ არასოდეს მიდრეკილა რომელიმე მწვალებულში მიმდინარეობისაკენ. იმ დროისათვის, როდესაც ეს პოლემიკა გაიმართა წმ. გიორგი მთაწმინდელსა და ანტიოქიის პატრიარქს შორის, ქართული გალობის მრავალხმიანობის კანონიკურობა აღიარებული რომ არ ყოფილიყო, ცხადია, ანტიოქიის პატრიარქი წმ. გიორგი მთაწმინდელს უთუოდ უსაყვედურებდა და ლიტურგიის არაკანონიკურობაში დასდებდა ბრალს ისევე, როგორც ქართული ეკლესიის ავტოკეფალურობის თაობაზე მოსთხოვა პასუხი. წმ. გიორგი მთაწმინდელსა და ანტიოქიის პატრიარქს შორის კამათი იმას მოწმობს, რომ ამ დროისათვის ქართული გალობის მრავალხმიანობა საუკუნეებამოყალიბდა და იგი კანონიკურია. წმინდა მამა ამას ასე თამამად ეერ განაცხადებდა, ქართული საეკლესიო გალობის მრავალხმიანობა რომ დიდი ხნის დაკანონებული არ ყოფილიყო. ეს თვალსაზრისი წმ. გიორგი მთაწმინდელმა ბიზანტიის იმპერატორთან საუბრის დროსაც განამტკიცა: "ესე არს

სარწმუნოებად მართალი ნათესავისა ჩუენისაჲ. და რაჲჲმს ერთგვის გუცნობიეს, არღარა მიდრეკილ ვართ არცა მარცხელ, გინა მარჯულ და არცა მიედრებით, თუ ღმერთსა უნდეს" [ძეგლები, 1967: 178]. ეს ერთგული ამონარიდები "წმ. გიორგი მთაწმიდელის ცხორებიდან" იმისთვის დაეიმოწმეთ, რათა გვეჩვენებინა წმ. გიორგი მთაწმიდელის შეუპოვარი ბრძოლა საქართველოს ეკლესიის უფლებების დასაცავად.

გიორგი მცირის "გიორგი მთაწმიდელის ცხოვრებაში" დაცული ცნობები და ხელნაწერებზე დართული წმ. გიორგი მთაწმიდელის ანდერძ-მინაწერები უტყუარად ადასტურებენ, რომ წმ. გიორგი მთაწმიდელის მოღვაწეობის დროს ქართული გალობა მრავალხმიანი იყო. საფიქრებელია, რომ IV საუკუნის დასაწყისში გაქრისტიანებული საქართველოს ეკლესიის მრევლი, რომლის სმენა საუკუნეების მანძილზე მრავალხმიან ხალხურ სიმღერასა და წარმართული პერიოდის მრავალხმიან საკულტო გალობას იყო შენეული, ერთხმიან გალობას დიდხანს ვერ იგუებდა და მასში უთოოდ ადრევე შეიტანდა ეროვნული მუსიკალური სააზროვნო სისტემის უპირველეს, უმთავრეს მახასიათებელს - პოლიფონიურობას. როგორც ლიტურგიისათვის აუცილებელი საღვთისმეტყველო წიგნები ითარგმნა ქართულად ქრისტიანობის გავრცელების ადრეულ ეტაპზე, ასევე გამრავალხმიანდა ქართული საეკლესიო გალობაც.

მართალია, საქართველოში ქრისტიანული რელიგიის სახელმწიფოებრივ რელიგიად გამოცხადებისას საეკლესიო გალობაც, როგორც სასოგადოდ ლიტურგია, პალესტინიდან და საბერძნეთიდან შემოვიდა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ იგი არ განვითარდებოდა და ეროვნულ, ქართულ ხასიათს არ შეიძენდა. ქართული ენის ბუნება და ქართული მუსიკალური მრავალხმიანობის სისტემა მოითხოვდა პალესტინური და ბერძნული წიაღიდან წამოსული ქრისტიანული საეკლესიო გალობის გაქართულებას. ცნობილია, ყოველი ერის წარმომადგენელი გარესამყაროს აღქმის გამოხატვას მშობლიურ ენაზე აღწევს ყველაზე უკეთ, რაც იმას მიუთითებს, რომ რელიგიური განცდა და განწყობაც, მელოსით გამოხატული, ყველაზე ნათლად მშობლიური მუსიკალური სისტემით აღიქმება და გადმოიცემა. ქართველი ერი ფრთხილად ეკიდებოდა ყოველივე უცხოურს, რაც მისი სულიერი და ფსიქიკური წყობისათვის მიუღებელი იყო და ცდილობდა ეროვნულის შენარჩუნებას, ხოლო საჭირო შემთხვევაში - საუკუნეთა მანძილზე ოფიციალურ დონეზე მიქმალული, მაგრამ ერის მეხსიერებაში შემონახული ეროვნული ფენომენის აღორძინებას, გაქართულებას.

რას ნიშნავს გალობის გაქართულება? გალობის გაქართულება ნიშნავს ქართული გალობისათვის ეროვნული მუსიკალური თვისებების შეძინებას. ქართული ეროვნული მუსიკის, წინარექრისტიანული გალობა-სიმღერის უმთავრესი თვისება კი მისი პოლიფონიურობაა. ამრიგად, საეკლესიო გალობის გაქართულება მის მრავალხმიანობაში გამომჟღავნდა. იეანე ჯავახიშვილი წერდა: "მრავალხმიანობა ქართული მუსიკის ორსავე, საეკლესიო და საერო შტოშიც გააქვს. დაუჯერებელია, რომ მრავალხმიანობა ერთსაცა და მეორეშიც სრულებით დამოუკიდებელივ განეხილიყო, ამიტომ ერთი მათგანი უნდა მრავალხმიანობის დამწვები და შემქმნელი იყოს, მეორე მის შემთვისებლად და დამწინაურებლად არის საგულისხმებელი" [ჯავახიშვილი, 1998: 663].

საქართველოში ადრევე ითხსეებოდა ქართული მელოდიის მქონე საგალობლები, ე. ი. იქმნებოდა ქართული ეროვნული სამგალობლო ტრადიცია, რის დამკვიდრებასა და კანონიზებას საუკუნეები დასჭირდა. საეკლესიო გალობის გაქართულება მის მრავალხმიანობაში გამომჟღავნდა, ხოლო მრავალხმიანობა ქართველი ერის მუსიკალური სააზროვნო კატეგორიაა. XII საუკუნეში ქართული გალობის მრავალხმიანობის საღვთისმეტყველო-ფილოსოფიური განსოგადება მოგვეცა იოანე პეტრიწმა, რომელმაც ქართულ გალობაში სამი ხმა გამოყო: "მსახრ, ჟირ, ბაშ". იოანე პეტრიწის მუსიკალური ტერმინოლოგია იმას მოწმობს, რომ ყოველი თეორიული დებულება პრაქტიკული საქმიანობის განსოგადების შედეგია. ამიტომ, "მსახრ, ჟირ, ბაშ" ერთება, "შეყოფლება" (ანუ ყოფილობა, ყოელისმომცველობა) ქართულ მუსიკალურ ყოფაში საუკუნეების დამკვიდრებული ნაწი და იგი თეორიულად იოანე პეტრიწმა განასოგადა.

ამრიგად, ქართველი ერის მუსიკალური აზროვნება ისევე ძველია, როგორც ქართული სიტყვა, ლექსი, ცეკვა, მითოპოეტური სამყარო, ფოლკლორი. მრავალფეროვნება ქართველი

ერის აზროვნების, მისი ეროვნული ცნობიერების, შინაგანი სულიერი სამყაროს გამოვლინებაა, ქართველი ერის სააზროვნო სისტემაა. ამიტომ ქართულ საეკლესიო გალობაში მრავალხმიანობა, რომელიც წინარექრისტიანული მუსიკალური კულტურის არსებითი ნიშანი იყო, ადრევე შევიდა, იმ დროიდან მაინც, როდესაც პირველი ქართული ორიგინალური საგალობლები შეიქმნა. ქართულ საეკლესიო გალობაში ისევე შევიდა წინარექრისტიანული საერო და წარმართული გალობის მრავალხმიანობის ტრადიცია, როგორც ქართული პიმნოგრაფიული პოეზიის წიაღში საგალობელთა პარალელურად არსებული ქართული ლექსის უძველესი ფორმები, როგორც ქართულ საეკლესიო ხუროთმოძღვრებაში _ წინარექრისტიანული არქიტექტურის ელემენტები.

ლიტერატურა:

ძეგლები 1967 _ ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, II, გამოსაცემად მოამზადეს ილ. აბულაძემ, ნ. ათანელიშვილმა, ნ. გოგუაძემ, მ. დოლაკიძემ, ვ. ქურციკიძემ, ვ. ჭანკიევმა და ვ. ჯღამაიამ, ილია აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, თბ., „მეცნიერება“, 1967.

ჯაუახიშიელი 1998 _ ი. ჯაუახიშიელი, ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები, თხზ. XI, თბ., თსუ გამომც., 1998.

Нестан Сулава

Георгий Мцир из грузинской духовной полифонии «Живого святого Георгия Мтацмидели» Резюме

Георги Мцир в своей агиографической работе рассказывает о полифонии святого Георгия Мтацмидели. Он говорит, что святой Георгий Мтацмидели получил образование в области полифонии в юности. Он знал все гимны лег и легко принимался в устном учении, для этого он был превосходным среди своих коллег и как его великие предки святого Григола Хандзели и Микаэля Модрекили.

Чтобы изучить гимнографическое наследие и его отношение к грузинской полифонии, мы должны познакомиться с его биографией из агиографических работ Георги Мцира, а также с «Волей», добавленными к гимнографическим произведениям святого Георгия Мтацмидели. Из агиографических работ Георги Мцира мы подтверждаем, что гимны Георги Мтацмидели были полифоническими. Грузинская наука Иване Джавахишвили обратила большое внимание на тот факт, что в этой истории сохранились 80 сирот, выросших Святым Георгием Мтацмидели, они скандировали перед Цезарем Византии, и Цезарь упомянул полифонический стиль песни. Это означает, что Цезарь знал о различиях грузинских и греческих песнопений, и он уже упомянул об этом.

Из полемики Патриарха Антиохии и святого Георгия Мтацмидели мы подтверждаем канонически полифонию грузинских песнопений. Святой Георгий Мтацмидели подтверждает апостольскую историю и длительную независимость грузинской церкви. Во время этой полемики каноничность полифонии грузинского песнопения уже была подтверждена, иначе Патриарх Антиохийский выговорил бы святого Георгия Мтацмидели, и его обвинили бы в неканонической литургии. Эта полемика подтверждает, что грузинские полифонические песнопения являются каноническими и имеют долгую историю. Предполагается, что первые годы христианство и христианские люди в церквях не использовали монофонический стиль скандирования, потому что грузинский народ и традиции были ознакомлены только с полифоническим стилем песен. Это означает, что изменения в стиле песнопений должны быть сделаны с самого начала. Грузинские песнопения изменились с монофонического на полифоническое

с ранней стадии литургии. Разнообразие - это главное обнаружение грузинского ума, грузинской национальной духовной жизни, разнообразие - это система мышления. Это дает нам возможность сказать, что полифония, должно быть, была стилем грузинских песнопений с раннего этапа развития нашей церкви. Параллельно с грузинской гимнографией использовался старый стиль грузинской поэзии, как это было в архитектуре грузинской церкви, на грузинском архитекторе есть много элементов докрестьянства.

Nestan Sulava

Giorgi Mtsire of the Georgian spiritual polyphony of "The Live Saint Giorgi Mtatsmindeli" Abstract

Giorgi Mtsire in his hagiographical work tells us about the polyphony of the Saint Giorgi Mtatsmindeli. He says that Saint Giorgi Mtatsmindeli was educated in the art of polyphony in his youths. He knew all hymns of years and was easily adopted in oral teaching, for this he was excellent within his colleagues and as like his great ancestors Saint Grigol Khandzteli and Mikael Modrekili.

To study the hymnographical heritage and his attitude to the Georgian polyphony we must get acquainted his biography from the Giorgi Mtsire's hagiographical works and also with The Will added to the hymnographical works of Saint Giorgi Mtsatsmindeli. From the hagiographical works of Giorgi Mtsire we confirm that hymns of Giorgi Mtatsmindeli were polyphonic. Georgian science Ivane Javakhishvili payed great attention to the fact saved in this story about the 80 orphans grew up by the Saint Giorgi Mtatsmindeli, they chanted in front of the Caesar of Byzantium and the Caesar mentioned the polyphonic style of the song. It means that the Caesar knew about the differences of Georgian and Greece chants and he had already mentioned that.

From the polemics within the Patriarch of Antioch and the Saint Giorgi Mtatsmindeli we confirm the canonically of polyphony of Georgian chants. The Saint Giorgi Mtatsmindeli confirms the apostolic history and long independency of Georgian church. At the time of this polemics the canonicity of Georgian chant's polyphony had already been confirmed otherwise the Patriarch of Antioch would reprimanded Saint Giorgi Mtatsmindeli and he would have been accused in noncanonicallity of liturgy. This polemic confirms that the Georgian polyphonic chants are canonical and has long history. It is supposed that the first years Christianity and Christian people in churches did not get used the monophonic style of chants because Georgian folk and traditions were acquainted only to the polyphonic style of songs. It means that the changes in the style of chants must be made from the beginning. The Georgian chants would have changed from the monophonic to the polyphonic from the early stage of liturgy. Diversity is the main detection of Georgian mind, Georgian national spiritual life, diversity is the system of thinking. So it gives us the chance to say that the polyphony must have been the style of Georgian chants from the early stage of our church development. In parallel of Georgian hymnography there were used the old style of Georgian poetry as it was in architect of Georgian church, there are plenty of pre-Christianity elements on Georgian architect.

რეცენზენტი: პროფ. ნ. ხელაია